

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ევროპეისტიკის დეპარტამენტი

ხელნაწერის უფლებით

ნათია დოლიძე

კომუნიკაციური ინტერაქციის სფეროების დინამიკა
და მათი ენობრივი უზრუნველყოფა
(საზღვაო დისკურსის თარგმანის მაგალითზე)

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ი ს ა ნ ო ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ქეთევან სვანიძე

ბათუმი

2021

თანამედროვე სამყაროში საკომუნიკაციო სფეროები დინამიკას განიცდიან. ეს პროცესი ახალი სამეცნიერო მიმართულებების ფორმირებას იწვევს. რასაკვირველია, ნებისმიერი ახალი მიმართულება საკუთარ ტერმინოლოგიურ ბაზას, ანუ იმ რესურსებს აყალიბებს, რომლებიც მას პროფესიულ საქმიანობაში ესაჭიროება. საქართველო პირველ ნაბიჯებს დგამს კომუნიკაციური ინტერაქციის სფეროების მიმართულებით და ეს ნაბიჯები დაკავშირებულია პროფესიული საქმიანობის ახალ სფეროებთან, რომლებიც ადრე ან არ არსებობდა, ან არსებობდა რაღაც ფორმით ერთგვარ მეორეულ განზომილებაში, იმდენად რამდენადაც, გამომდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებიდან, საქართველოში მთელი პოლიტიკა ტრანსპორტის (და არა მხოლოდ ტრანსპორტის) სფეროში უპირველეს ყოვლისა, რუსულ ენასთან იყო დაკავშირებული.

დღეს, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, საქართველოში პერმანენტულად მიმდინარეობს თითქმის ყველა პროფესიული ურთიერთობის გადასვლა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ საფუძველზე, მომდევნო ეტაპზე კი მათი ინტერნაციონალიზაცია. აღმზული პროცესები კი დღის წესრიგში აყენებს მყარი ტერმინოლოგიური ბაზის ჩამოყალიბების აუცილებელობას, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიონალთა სრულყოფილ კომუნიკაციას. ამ თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანია საზღვაო კომუნიკაციის არსებული ლინგვისტური ბაზის განახლება, გადამუშავება, მისი შევსება და სრულყოფილი სახით ჩამოყალიბება.

გამომდინარე აქედან, **აქტუალურად** მიგვაჩნია სადისერტაციო ნაშრომში კომუნიკაციის, ზოგადად, და პროფესიული კომუნიკაციის, კონკრეტულად, ლინგვისტური სტრუქტურის გაანალიზება, მისი ფორმების ტიპოლოგიზირება, კომუნიკაციური ინტერაქციის სფეროების გამოკვეთა, მათი დინამიკის გაანალიზება.

გამომდინარე ზემოთ მოყვანილი მოსაზრებისა, კვლევაში შემდეგი ის **მიზნები** დავისახეთ:

✓ კომუნიკაციის ერთი მხრივ ლინგვისტური, მეორე მხრივ კი, საზღვაო კომუნიკაციის ინტერნაციონალური, კულტურათაშორისი სპეციფიკის გათვალისწინებით, კულტურული ბუნების ურთიერთმიმართების კვლევა;

✓ საზღვაო კომუნიკაციის როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობის სპეციალიზირებული (კოდიფიცირებული) სფეროს აღწერა და გაანალიზება, მისი ვერბალური და არავერბალური არხების ეროვნული და ინტერნაციონალური ასპექტების გაანალიზება;

✓ კომუნიკაციური ინტერაქციის სფეროების ფრაზარიუმის გამოკვეთა და მისი დინამიკის აღწერა/შეფასება და მთარგმნელობითი ანალიზის განხორციელება.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად შემდეგი **ამოცანების** გადაჭრა დაგეგმეთ:

✓ შევისწავლოთ და აღვწეროთ კომუნიკაციის ლინგვისტური და კულტურული სპეციფიკით განპირობებული არსების ურთიერთმიმართება;

✓ გავანალიზოთ პროფესიული (საზღვაო) კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური ასპექტები;

✓ გამოვავლინოთ და აღვწეროთ კომუნიკაციური ინტერაქციის სფეროები;

✓ განვსაზღვროთ სოციალური იერარქიითა თუ სხვა ურთიერთმიმართებით განპირობებული როლებრივი პარტიტურა პროფესიულ (საზღვაო) კომუნიკაციაში;

✓ აღვწეროთ და შევაფასოთ პროფესიული ჩარჩოებით განსაზღვრული კულტურათაშორისი კომუნიკაცია საზღვაო სფეროში;

✓ შევისწავლოთ საზღვაო კომუნიკაციის კოდიფიცირებული ვერბალური და არავერბალური ხერხები და მათი ეროვნული (ნაციონალური) და საერთაშორისო (ინტერნაციონალური) ასპექტები;

- ✓ განვახორციელოთ საზღვაო კომუნიკაციის მთარგმნელობითი ანალიზი;
- ✓ მოვახდინოთ კომუნიკაციის უზრუნველყოფის ანალიზი სამგზავრო გემის უსაფრთხოებისათვის.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ასევე ჩვენს მიერ საკვლევად შერჩეული **ობიექტი**. ნაშრომში ჩვენ შევისწავლით - აღვწერთ და გავაანალიზებთ - ქართულ საზღვაო ლექსიკურ კორპუსსა და ფრაზარიუმს (დღეისათვის არსებული სახით), ვემიებთ მისი გარდაქმნის/გაუმჯობესების შესაძლებლობებს; განვსაზღვრავთ ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პერსპექტივებს.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, სადაც მომავალში იგეგმება საზღვაო ფლოტის ფორმირება, დღის წესრიგში დგას საზღვაო საკომუნიკაციო ბაზის ჩამოყალიბება, რომელიც ქართველ მეზღვაურებთან პროფესიულ კომუნიკაციას მოემსახურება. გემი, ფაქტიურად, სამხედრო სისტემით იერარქიულად დაკომპლექტებული მექანიზმია, სადაც არის იერარქია წოდებრივი (უფროსი და უმცროსი) სახითაა წარმოდგენილი. ასეთი გასამხედროებული კომუნიკაცია სტანდარტულ ფორმებს მოითხოვს. ეს გულისხმობს, რომ ბრძანებისათუ სხვა ურთიერთობის ფორმები საყოველთაოდ მიღებულია. უნდა შევთანხმდეთ იმ ფაქტზეც, რომ ერთგვარი სალექსიკონო მასალა აუცილებლად არ მუშაობს პრაქტიკაში. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს საზღვაო კომუნიკაციის ლინგვისტური ბაზის განახლება და სრულყოფილი სახით ჩამოყალიბება.

ზემოთ მოყვანილი მიზეზის გამო, ქართული საზღვაო ლექსიკური კორპუსის ამჟამინდელი მდგომარეობა ხასიათდება:

- ✓ ლექსიკური მარაგის სიმცირით;

✓ ლექსიკოგრაფიულ წყაროებში არსებული სიტყვათა კორპუსის მეტწილად მოძველებით (ლექსიკონების შევსების წყაროები თარიღდება გასული საუკუნის ბოლო მეოთხედით, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ მიმართულებითი სამუშაოების წარმოებისა და ლინგვისტური კვლევების განხორციელების აუცილებლობას);

✓ სიტყვათა წარმოქმნის მექანიზმების ერთგვარი ერთფეროვნებით (იგი უმრავლეს შემთხვევაში წარმოდგენილია კალკირებით);

✓ არსებული განმარტებების ხშირი შეუსაბამობა თანამედროვე საზღვაო ინფრასტრუქტურის რეალობასთან.

საკვლევი პრობლემის **სამეცნიერო სიახლე**, ვფიქრობთ, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს კვლევაში, მოცემულ თემატიკაზე შექმნილი ნაშრომებისგან განსხვავებით, განხორციელებულია საზღვაო კომუნიკაციის როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობის სპეციალიზირებული (კოდიფიცირებული) სფეროს ეროვნული და ინტერნაციონალური ასპექტების ურთიერთმიმართების ანალიზი. ასევე, მასში სამეცნიერო ბაზაზე და ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი და შესწავლილია კომუნიკაციური ინტერაქციის სფეროების დინამიკა და მათი ენობრივი უზრუნველყოფა.

წარმოდგენილი ნაშრომის **პრაქტიკულ მნიშვნელობაზე**, უდავოდ, მეტყველებს, ის ფაქტი, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (<https://old.bsma.edu.ge/main/page/1736/index.html>) ჩართულია კვლევით პროექტში (სამუშაო დასახელება „ინგლისურ-ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის ნაბეჭდი და ელექტრონული თარგმნით/განმარტებითი-ილუსტრირებული ლექსიკონი“), რომელიც მიზნად ისახავს ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. აკადემიასა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდა კვლევითი პროექტის მოსამზადებელი ეტაპი. შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია უცხო ენათა

დეპარტამენტის და დარგის სპეციალისტებით. პროექტის მოსალოდნელი შედეგია ასევე ლექსიკოგრაფიული, საგანმანათლებლო და საკანონმდებლო ბაზის სტანდარტიზაცია საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენი ჩართულობა აღნიშნულ პროექტში მართლაც მნიშვნელოვანია ჩვენივე სადისერტაციო ნაშრომისთვის მეტი სიახლის და აქტუალობის მხრივ. მოცემული ეტაპისთვის დავამუშავეთ კოლრეგის (ზღვაში გემების შეჯახების თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო წესები) ტერმინოლოგია (Convention on the International Regulations for Preventing Collisions at Sea, 1972 (COLREGs)) და ვგეგმავთ გადავიდეთ სხვა კონვენციის ტერმინოლოგიის შესწავლასა და დამუშავებაზე.

ყოველივე ზემოთთქმული, უდავოდ, მეტყველებს საკვლევი პრობლემის როგორც თეორიულ, ისე მის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე.

კვლევის მიზნებმა და ამოცანებმა მისი სტრუქტურა განაპირობა: იგი შედგება შესავლის, სამი თავის (შვიდი ქვეთავის), დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან.

ნაშრომის პირველ თავში **„კომუნიკაციის ლინგვოკულტურული ბუნება“** კვლევის თეორიულ ბაზაა წარმოდგენილი. იგი შედგება 3 რომლებშიც მომხილული, აღწერილი და გაანალიზებულია: I.I - კომუნიკაციის კულტუროლოგიური არსი; I.II - კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური ასპექტები; I.III - კომუნიკაციური ინტერაქციის სფეროები. ასევე, გაანალიზებულია დიალოგი, მონოლოგი, როლებრივი პარტიტურა კომუნიკაციაში.

მეორე თავში განიხილება **„საზღვაო კომუნიკაცია როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობის სპეციალიზირებული (კოდიფიცირებული) სფერო“**.

მესამე თავი **„კომუნიკაციური ინტერაქციის სფეროების ფრაზარიუმი, მისი დინამიკა და მთარგმნელობითი ანალიზი“**, შედგება 2 ქვეთავისგან. მათში განხორციელებული და წარმოდგენილია - III.I -საზღვაო თემატიკის ფრაზარიუმის მთარგმნელობითი ანალიზი და III.II - კომუნიკაციის უზრუნველყოფის ანალიზი სამგზავრო გემის უსაფრთხოებისათვის.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში გაკეთებულია კვლევის თეორიული და პრაქტიკული ნაწილის ერთობლივი ანალიზი.

ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

თავი I. კომუნიკაციის ლინგვოკულტურული ბუნება

I.I. კომუნიკაციის კულტურული ასპექტები. ინტერკულტურული კომუნიკაცია

ურთიერთობა ანუ კომუნიკაცია - ადამიანთა ურთიერთქმედების ერთერთი მხარეა მათი საქმიანობის პროცესში, რომელიც ერთდროულად საზოგადოებაში ადამიანის ცხოვრების აუცილებელ და სპეციფიკურ პირობასაც წარმოადგენს. არის რა პროვოცირებული ურთიერთობის პრობლემური სიტუაციით, ურთიერთობა, ფსიქოლოგთა აზრით, არის ერთდროულად დამოკიდებულება, საქმიანობა და პროცესი. კომუნიკაციური ამოცანა ჩვეულებრივ უკავშირდება ურთიერთობის სუბიექტის საორიენტაციო-გეგმიურ საქმიანობას და მოიცავს პერცეპციულ ამოცანას, რომელიც ასაშუალოებს მეტყველების აღქმის პროცესს. ვინაიდან აღნიშნული პროცესი მიზანმიმართული, შერჩევითი და სიტუაციურად განპირობებულია, შესაბამისად ურთიერთობას ორმხრივი ხასიათი აქვს, ხოლო დიალოგის პროცესში წარმოქმნილი და აღქმული შეტყობინების მნიშვნელობა, როგორც ცნობილია, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განსხვავდებიან ერთმანეთისგან; შესაბამისად, პერცეპციული ამოცანა რეციპიენტის მიერ ურთიერთობის კონკრეტული სიტუაციისა და მასში თავისი ადგილის შეფასებისაგან ამა თუ იმ დამოკიდებულებაში ტრანსფორმირდება.

კომუნიკაცია განიხილება როგორც ინტერაქციის ერთ-ერთი კერძო შემთხვევა, „სადაც კოორდინაციის ფოკუსში კომუნიკაციური ინტენციები ხვდება, ვინაიდან სწორედ ინტენციები წარმოადგენენ ურთიერთობის მთელი პროცესის

ამოსავალ პუნქტს, გამოხატავენ რა ადამიანთა შინაგან მდგომარეობას“ (Макаров М.Л. Интерпретативный анализ дискурса в малой группе. Тверь, 1998:42).

სხვა მნიშვნელობით ტერმინი კომუნიკაცია მოიაზრებს შეტყობინების გზებს, სატრანსპორტო კავშირებს, მიწისქვეშა კომუნალურ ქსელებს. მაგალითად, ისეთებს, როგორცაა მიწისქვეშა, საჰაერო და სხვა კომუნიკაციები, საკომუნიკაციო სისტემა. ჩვენი კვლევის ობიექტი არის *კომუნიკაცია* თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით, იმდენად რადგანაც ჩვენი შესწავლის მიზანს სწორედ კონკრეტული პროფესიული (საზღვაო) სფეროს წარმომადგენელთა შორის ურთიერთობა წარმოადგენს. ამ მნიშვნელობასთანაა დაკავშირებული ტერმინის ცნების მეცნიერული განსაზღვრაც. მოცემული ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში „კომუნიკაცია ადამიანთა ურთიერთქმედების სპეციალური ფორმაა მათი შემეცნებით - შრომითი მოქმედების (Гойхман О.Я. Надейни Г.М. “Речевая коммуникация”, 2005:6).

თანამედროვე კომუნიკაციური სივრცე საკმაოდ რთული სისტემაა, რომელშიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი კომუნიკაციის სხვადასხვა ტიპს უჭირავს. ადამიანი ამა თუ იმ სიტუაციაში განსხვავებულად იქცევა და ადამიანებთან განსხვავებულ ურთიერთობას ამყარებს. გარდა ამისა, კომუნიკაციის ბუნებასა და თავისებურებებს განსაზღვრავენ ინფორმაციის გადაცემის საშუალებების მიხედვით, კომუნიკაციის სუბიექტებით და ა.შ. კომუნიკაციის სახეების რაოდენობა სხვადასხვა წყაროში საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამავე დროს, ამ საკითხთან ფუნქციური მიდგომა საშუალებას იძლევა გამოვყოთ კომუნიკაციის შემდეგი სახეები: ინფორმაციული, ფუნქციონალურ-შემფასებლური, რეკრეაციული, დამაჯერებელი და სარიტუალო.

ინფორმაციული კომუნიკაცია წარმოადგენს ინფორმაციის გადაცემის პროცესს გარე სამყაროს შესახებ, რომელშიც ცხოვრობს კომუნიკატორი და რეციპიენტი. ინტერნეტის წყალობით ხელმისაწვდომი ხდება მსოფლიო სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ნებისმიერი გაზეთი, უკანასკნელი სიახლეები.

აფექტურ-შემფასებლური კომუნიკაცია ემყარება დადებით ან უარყოფით გრძნობებს სხვა ადამიანებთან მიმართებაში. კომუნიკაციის ამ სახეობაში არ არის ფაქტები ობიექტურად ჩამოყალიბებული, აქ არის სუბიექტურობა. ყველა ეს ფორმა არის აფექტურ-შემფასებლური კომუნიკაცია. ეს კომუნიკაცია წარმოადგენს შესაძლებლობას გააძლიეროს ან შეასუსტოს შეფასება და გრძნობების გამოხატვა, რაც ინფორმაციული კომუნიკაციის შემთხვევაში შეუძლებელია.

რეკრეაციული კომუნიკაცია ურთიერთობის სხვადასხვა ფორმას მოიცავს, რომელიც მოსაუბრეს განტვირთვისა და დასვენების საშუალებას აძლევს. ამგვარ კომუნიკაციას ადამიანები ქმნიან წარმოსახვით სიტუაციებში, როდესაც აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას, ყვებიან ამბებს, ანეგდოტებს და ა.შ. რეკრეაციული კომუნიკაციის მეტ-ნაკლებად გავრცელებული ფორმებია: სხვადასხვა სახის დისკუსია, კონკურსები, ოლიმპიადები და ა. შ.

დამაჯერებელი კომუნიკაცია წარმოადგენს კომუნიკაციის ისეთ სახეობას, რომელიც მიმართულია რომელიმე მოქმედების სტიმულირებისაკენ. ის გამოიხატება ბრძანებაში, თხოვნასა და რჩევაში. ამგვარ კომუნიკაციაში მონაწილეები ზემოქმედებენ ერთმანეთზე. კომუნიკაციის ამ ფორმათაგან ერთ-ერთი ცნობილი არის რეკლამა. მასში ყველაზე მნიშვნელოვანი მანიპულაციის ელემენტია სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას გადასვლა.

სარიტუალო კომუნიკაცია გამოიხატება სოციალურად დადგენილ ქცევათა შესრულებაში. მაგალითად, ავიღოთ მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა. როცა მასწავლებელი შედის კლასში, ყველა ფეხზე დგება. ნაცნობები ერთმანეთს ესალმებიან ხელის ჩამორთმევით.

კომუნიკაციის წარმატებულობას განაპირობებს ადამიანის კომუნიკაციური ქცევის ინტეგრალური ხასიათი. ამ კონტექსტში პიროვნებათშორისი კომუნიკაცია პროცესია, რომელიც რეგულირდება როგორც გარკვეული სოციალური კანონზომიერებით, ასევე კულტურულად დადგენილი წესებით. ეს პროცესი

განისაზღვრება როგორც გარეგნული ზეგავლენით, ასევე ადამიანის შინაგანი მდგომარეობით.

1. კონტაქტურობა არის სპეციალური სოციალური ხარისხი, რომლის საფუძველიცაა ბუნებრივი ურთიერთობა. ეს არის ფსიქოლოგიური კონტაქტის წარმართვისა და ნდობის მოპოვების უნარი;

2. კომუნიკაციური შეთავსება წარმოიქმნება ურთიერთგაგების საფუძველზე და კომუნიკაციის ისეთი არასასურველი შედეგით ხასიათდება, როგორც არის დაძაბულობა;

3. ადაპტაციურობა არ ნიშნავს პიროვნული თავისუფლების მაღალ დონეს ურთიერთობებში. იგი გამოიხატება თავდაჯერებულობასა და საკუთარი პრინციპების რწმენაში. ურთიერთობის პროცესზე ასევე თვითკონტროლი, თვითშეგნება, ურთიერთობის სტილი ზემოქმედებს. მიჩნეულია, რომ მაღალი თვითკონტროლის მქონე ადამიანები კარგად ექვემდებარებიან სწავლებასა და აქვთ უნარი სურვილისამებრ მოახდინონ ზემოქმედება ადამიანზე. ამერიკელმა მეცნიერმა ვ.გუდიკუნსტმა ჩაატარა გამოკვლევა, რომლის თანახმადაც თვითკონტროლის ხარისხი ამერიკელებში უფრო მაღალია, ვიდრე იაპონელებსა და კორეელებში (Gudykunst, W. B. (1998). *Interpersonal contexts*, Vol. 3. *Bridging differences: Effective intergroup communication* (3rd ed.). Sage Publications, Inc.:233

თვითშეგნება არის ინდივიდის თვისება, ყურადღება მიაქციოს საკუთარ მოქმედებებს. თვითშეგნებას აქვს პიროვნული და საზოგადო ასპექტები. ვ. გუდიკუნსტმა თავის კვლევაში ასევე აჩვენა, რომ იაპონელებსა და კორეელებში შიშის ფაქტორი უფრო მაღალია, ვიდრე ამერიკელებში. ეს მან იმით ახსნა, რომ იაპონელები გაურბიან გაურკვეველობას. საზოგადო თვითშეგნება დამოკიდებულია ყურადღებასა და კონცენტრაციაზე, თუ რამდენად შეუძლია სხვაზე ზეგავლენა და სოციალური კონტექსტის იგნორირება, ამიტომაც ის უფრო ვითარდება ინდივიდუალურ კულტურაში.

ადამიანთა ურთიერთობა ისევე უსაზღვრო და მრავალფეროვანია, როგორც თვით ადამიანთა საზოგადოება. ეს მრავალფეროვნება აისახება კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმაში, ტიპსა და სახეში. თანამედროვე კომუნიკაციისტიკაში გამოიყოფა კომუნიკაციის შემდეგი ფორმები: პიროვნებათშორისი, მასობრივი და კულტურათშორისი.

პიროვნებათშორისი კომუნიკაცია ნიშნავს ინფორმაციის გაცვლას და მის ინტერპრეტაციას ორი ან მეტი ინდივიდის მიერ, რომლებიც კონტაქტში შედიან ერთმანეთთან. პიროვნებათშორისი კომუნიკაციის განმსაზღვრელ ფაქტორად მათი ურთიერთობები მიიჩნევა.

როგორც კომუნიკაციის სხვა სახეები, ასევე პიროვნებათშორისი კომუნიკაცია შეიძლება იყოს ეფექტიანი ან უეფექტო. ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ეფექტიანობის ხარისხი დამოკიდებულია ურთიერთობის სიტუაციაზე. მაგალითად: ადამიანი შეიძლება იყოს წარმატებული კომუნიკატორი თანატოლებთან ან კოლეგებთან ურთიერთობისას, მაგრამ კრაზი განიცადოს სხვა ასაკის ან სხვა სოციალური მდგომარეობის ადამიანებთან.

სპეციალისტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კულტურათშორის კომუნიკაციაზე საუბარი მხოლოდ იმ შემთხვევაშია მართებული, თუკი ადამიანები განსხვავებული კულტურის წარმომადგენლები არიან და იმას, რაც მათ კულტურას არ მიეკუთვნება, სხვისად, მაგრამ არა მიუღებლად თვლიან. ურთიერთობა კულტურათშორისია მაშინ, როცა მასში მონაწილეები ეცნობიან სხვათა ტრადიციას, ადათებს, ქცევის წესებს, ყოველდღიური ურთიერთობის ნორმებს. სწორედ ამგვარ ურთიერთობაში ვლინდება, როგორც ჩვეული, ნაცნობი, ასევე უჩვეულო, უცხო თვისებები.

თავისი არსით კულტურათშორისი კომუნიკაცია პიროვნებათშორისია, როცა მისი ერთ-ერთი მონაწილე მეორის კულტურაში რაიმეს განსხვავებულს, მისთვის უჩვეულოს აღმოაჩენს, ურთიერთობაში სირთულეს სწორედ ეს განსხვავება წარმოშობს (Larry A. Samovar, Richard E. Porter. Wadsworth Pub., 1991:11), რადგანაც

მოცემულ შეტყობინებას გაშიფრავენ კომუნიკანტები, რასაც ისინი გაუგებრობაში შეჰყავთ და დაძაბულობას, მუდმივ დისკომფორტს იწვევს. მაგალითად: ამერიკელისათვის ფეხის ფეხზე გადადება ჩვეულებრივი მოვლენაა, იმიტომ მისთვის ეს ძალზე მოსახერხებელია, თუმცა აღმოსავლური კულტურის წარმომადგენლისათვის მოსაუბრის ასე ჯდომა შეურაცხყოფაა და ყოვლად მიუღებელია. ამგვარად, წარმატებული კომუნიკაციისათვის სხვა კულტურის წარმომადგენელთან ურთიერთობისას უნდა მოიქცე ისე, როგორც ისინი იქცევიან.

კულტურის ცნება ძალიან ფართო და მრავალშრიანია. მას იკვლევენ, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლები. თანამედროვე მკვლევრები შეთანხმდნენ, კულტურა განიხილონ როგორც მნიშვნელობის განმსაზღვრელი პროცესები. როგორც ლ. იონინი აღნიშნავს, ”კულტურის სოციოლოგია ითვალისწინებს ინტერდისციპლინური მიდგომებისა და სოციოლოგიური საფუძვლების სინთეზს” და, აქედან გამომდინარე, იკვლევს მნიშვნელობის განმსაზღვრელ პროცესებს სამი მიმართულებით: მნიშვნელობის განსაზღვრა ყოველდღიურ ქმედებაში, მნიშვნელობის ინსტიტუციონალური წარმოება და საერთო მენტალური ჩარჩოები, რომელთა საშუალებითაც იქმნება მნიშვნელობა (Ионин Л. Г. Культура и социальная структура // Социологические исследования. 1996. № 3. С. 31-42:93). კულტურა ხშირად მოიაზრება ისეთ რამედ, რაც გვაკავშირებს ჩვენი ჯგუფის სხვა წევრებთან და ამ განსხვავების საფუძველზე ჩვენ სხვა ჯგუფების წევრებს ვემიჯნებით. თუ ჩვენ ვიზიარებთ გარკვეული ადამიანების მსოფლმხედველობას, დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხისადმი, ცხოვრების წესს, ქცევას, ჩვენს თავს მივაკუთვნებთ იმავე კულტურასა თუ სუბკულტურას. ასევე შეგვიძლია ვისაუბროთ “კულტურულ სხვაობაზე”, როდესაც ახალ სიტუაციაში აღმოვჩნდებით ან ახალ ჯგუფთან გვიწევს ურთიერთობა და ვხედავთ, რომ ჩვენთვის მისაღები სამყაროს შემეცნების გზები და ქმედება განსხვავდება მათგან. ამ კუთხით დანახული კულტურა შეიძლება წარმოადგენდეს

მთელ ჯგუფს ან საზოგადოებას და ამრიგად, ჩვენ განვასხვავებთ ერთმანეთისაგან სხვადასხვა ხალხის კულტურებს.

კულტურათმორისი კომუნიკაციის უშუალო გამოკვლევებს სათავე დაედო XX საუკუნის მეორე ნახევარში, 1945 წელს, მას შემდეგ, რაც ჰოლლისა და რაგერის წიგნი „კულტურა, როგორც კომუნიკაცია“. აქ პირველად გამოყენებულ იქნა ცნება „კულტურათმორისი კომუნიკაცია“, რომელსაც სხვადასხვა კულტურის ადამიანებს შორის ურთიერთობების სპეციფიკა უნდა აესახა. 1959 წელს გამოვიდა ჰოლლის ახალი ნაშრომი „მუნჯი ენა“, სადაც ავტორმა უფრო განავითარა თავისი იდეები და აჩვენა კულტურასა და კომუნიკაციას შორის მჭიდრო კავშირი. მისმა თეზისმა - „კომუნიკაცია - ეს კულტურაა, კულტურა - ეს კომუნიკაციაა“, სამეცნიერო წრეებში გაცხოველებული დისკუსიები გამოიწვია. 1960 წელს კულტურათმორისმა კომუნიკაციამ აშშ-ს უნივერსიტეტებში სასწავლო დისციპლინის სახე მიიღო. 70-იან წლებში კი კულტურათმორის პრობლემატიკაზე 12 პირველი პერიოდული გამოცემები გამოჩნდა. ამ ჟურნალების ფურცლებზე განიხილებოდა კომუნიკაციასთან, კულტურასთან, ენასთან და კერძოდ, მოლაპარაკებებთან დაკავშირებული პრობლემები. ამ დროისთვის უფრო მდიდარი გახდა ახალი დისციპლინის შემეცნებითი აპარატი: ცნება „კულტურათმორისის“ გვერდით გაჩნდა ახალი ტერმინები: „კროსკულტურული“, „მულტიკულტურული“, „მულტიკულტურალიზმი“.

კულტურათმორისი კომუნიკაცია გულისხმობს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობას, რომლის დროსაც, უკიდურეს შემთხვევაში, ერთ მონაწილეს მაინც შეუძლია არამშობლიურ ენაზე ლაპარაკი. თანამედროვე მსოფლიოში, სადაც ინგლისურმა ენამ დაიმკვიდრა საერთაშორისო ურთიერთობის ენის სტატუსი, ხშირად კომუნიკაციის ორივე მონაწილე არამშობლიურ ენაზე საუბრობს და ამ ენაში საკუთარი კულტურის ნიუანსები შეაქვს.

კულტურა და კომუნიკაცია ურთიერთზემოქმედებენ. მაგალითად: ყოველ კულტურას ამა თუ იმ საკითხის შესახებ განსხვავებული წარმოდგენა აქვს, ავიღოთ თუნდაც, თავაზიანობა. ბევრ აზიურ ქვეყანაში ძალზე არათავაზიანად ითვლება, შეეკითხო პარტნიორს საქმის შესახებ, თუკი შენ დარწმუნებული არ ხარ, რომ ის ზუსტ პასუხს გაგცემს. თუკი ამერიკელები პირდაპირ ამბობენ რასაც ფიქრობენ, იაპონელები და არაბები არ დაუშვებენ, რომ პარტნიორი გაწითლდეს იმის გამო, რომ მას ჰკითხეს ის, რაზეც პასუხს ვერ იძლევა, ამიტომაც იაპონიაში არათავაზიანად ითვლება ერთი სიტყვით უპასუხო ვინმეს: არა. თუ ადამიანს არ სურს მიწვევის მიღება, ის არ პასუხობს პირდაპირ, ის ამბობს, რომ აქვს ბევრი საქმე, და ა.შ. დასავლეთში კი ასეთი გზით გაურბიან კონკრეტულ პასუხებს. ნებისით თუ უნებლიეთ, მთელი ცხოვრების განმავლობაში ხალხი შედის ამა თუ იმ სოციოკულტურული ჯგუფის შემადგენლობაში. თითოეული ასეთი ჯგუფი მოიცავს მიკროკულტურას და აქვს მსგავსებაც და განსხვავებაც. განსხვავება შეიძლება გამოწვეული იყოს სოციალური განწყობით, განათლებით, ტრადიციებითა და სხვა მიზნებით.

ი.ა. სტერნინის მიერ წამოწყებული კომუნიკაციური იდეალის კვლევამ აჩვენა, რომ ის ეროვნული მენტალიტეტის, ეროვნული კომუნიკაციური ქცევის მნიშვნელოვან მდგენელს წარმოადგენს. ავტორის აზრით, „კომუნიკაციური იდეალი - თანამოსაუბრის ნიშნების ერთობლიობაა, რომელსაც გარკვეული კომუნიკაციური კულტურის წარმომადგენლები განიხილავენ, როგორც თანამოსაუბრისადმი სასურველ, სასიამოვნო, დადებით დამოკიდებულებად, მასთან კომუნიკაციურ კონტაქტში შესვლის სიმარტივედ, კომუნიკაციური დამოკიდებულებების შენარჩუნებად (Стренин И.А. Коммуникативное поведение в структуре национальной культуры//Этнокультурная специфика языкового сознания. – М., 1996.)

კულტურა გავლენას ახდენს არამარტო კომუნიკაციაზე, არამედ თვითონაც ექცევა მისი ზეგავლენის ქვეშ. ხშირად ეს ხდება ინკულტურაციის პროცესში,

როდესაც ადამიანი კომუნიკაციის ამა თუ იმ ფორმით ითვისებს კულტურის ნორმებს. ჩვენ კულტურას ვსწავლობთ სხვადასხვა მეთოდით. მაგალითად; კითხვით, უცნობების მოსმენით, დაკვირვებით და ნაცნობებთან და უცნობებთან ურთიერთობით ჩვენ გავლენას ვახდენთ ჩვენს კულტურაზე, რომელიც შემდგომში კომუნიკაციის ერთ-ერთ ფორმად იქცევა. და ბოლოს, კულტურათა განმასხვავებელი ნიშან-თვისებები შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული, როგორც ვერბალური და არავერბალური კოდების სხვაობა კომუნიკაციის სპეციფიკურ კონტექსტში. ინტერპრეტაციის პროცესზე მოქმედებს ასაკი, სქესი, პროფესია, კომუნიკაციის სოციალური სტატუსი.

I.II კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური ასპექტები

ნებისმიერ კულტურას გააჩნია ენობრივი სისტემა, რომლის დახმარებითაც კულტურის მატარებელთ აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობის შესაძლებლობა. მეცნიერებაში ენობრივი ურთიერთობების სხვადასხვა ფორმას კომუნიკაციის ვერბალური საშუალებანი უზრუნველყოფენ. ცნობილ ვერბალურ საშუალებებს განეკუთვნება, უპირველესად, ადამიანთა მეტყველება, რადგანაც მეტყველების მეშვეობით ადამიანები ღებულობენ და გასცემენ სასიცოცხლო, მნიშვნელოვანი ინფორმაციის ძირითად ნაწილს, თუმცადა, იგი წარმოადგენს ენის მხოლოდ ერთ-ერთ ელემენტს, ამიტომაც მისი ფუნქციური შესაძლებლობანი უფრო მცირეა, ვიდრე მთლიანი ენობრივი სისტემისა.

XXI საუკუნის ლინგვისტიკა აქტიურად შეიმუშავებს მიმართულებას, რომლის მიხედვითაც ენა განიხილება არა უბრალოდ კომუნიკაციის და შემეცნების იარაღი, არამედ როგორც კულტურული კოდი. ასეთი მიდგომის საფუძველს ვ. ჰუმბოლდტის, ა. პოტენიასა და სხვათა შრომები წარმოადგენს. ამას ჰუმბოლდტის სიტყვებიც მოსმობს: “ჩემი ერის ენის საზღვრები ჩემი მსოფლმხედველობის საზღვრებია” (Гумбольдт 1984: 397).

ძნელია გადაჭარბებულად შეაფასო ენის მნიშვნელობა ნებისმიერი ხალხის კულტურაში. ამ შეფასებაში თოთოეული მეცნიერება აღნიშნავს თავის ასპექტს. კულტუროლოგიურ ლიტერატურაში ენის მნიშვნელობა უპირველესად გადმოიცემა შემდეგი დამახასიათებელი მტკიცებულებებით. ენა არის:

1. კულტურის სარკე, რომელშიც აისახება არამარტო რეალური ადამიანის გარემომცველი სამყარო, არამედ ხალხის მენტალიტეტი, მისი ეროვნული ხასიათი, ტრადიციები, ჩვეულებანი, მორალი, იუმორისა და ფასეულობათა სისტემა, სამყაროს სურათი (Тер Минасова С. Г. Тер-Минасова язык и межкультурная коммуникация, Слово / Slovo, Москва, 2000:56)

✓ საგანძური, კულტურის ყულაბა, ისევე როგორც ყველა მატერიალური და სულიერი ფასეულობების ცოდნა, დაგროვილი ამა თუ იმ ხალხის მიერ, რომელიც ინახება ენობრივ სისტემაში: ფოლკლორში, წიგნებში, ზეპირ და წერით მეტყველებაში.

✓ კულტურის ინსტრუმენტი, ადამიანის პიროვნების ჩამომყალიბებელი, რომელიც სწორედ ენის საშუალებით ითვისებს მენტალიტეტს, თავისი ხალხის ტრადიციებსა და კულტურას.

სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემაში შეიძლება შევხვდეთ ენის განსხვავებულ განმარტებას, რომელთაც საერთო აქვს მთავარი: ენა წარმოადგენს აზრის გამოხატვისა და ურთიერთობის საშუალებას. ენის მრავალრიცხოვან ფუნქციათა შორისაა კომუნიკაცია, რომლის ვარაუდით, ენის გარეშე ადამიანთა ურთიერთობის ნებისმიერი ფორმა შეუძლებელი ხდება.

ენა ემსახურება კომუნიკაციას, მაგრამ რადგანაც კულტურაც, როგორც სპეციფიკური ნიშანი ადამიანის გარესამყაროსთან შერწყმისა შეიძლება დასახელდეს როგორც კომუნიკაცია, ნათელი ხდება, რომ ენის კულტურისა და კომუნიკაციის ურთიერთკავშირი ბუნებრივი და განუყოფელია.

როგორც ვ. ლევი სტროსი აღნიშნავდა, “ენა ერთდროულად კულტურის პროდუქტიცაა, მისი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილიც და კულტურის

არსებობის პირობაც, უფრო მეტიც, კულტურის არსებობს სპეციფიკური საშუალება, კულტურული კოდების ფორმირების ფაქტებია” (КЛОД ЛЕВИ-СТРОСС СТРУКТУРНАЯ АНТРОПОЛОГИЯ, МОСКВА, ЭКСМО-ПРЕСС, 2001:68)

ენისა და კულტურის კავშირი შეიძლება განვიხილოთ, როგორ ნაწილისა და მთლიანის ურთიერთმიმართება. ენა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც კულტურის კომპონენტი და კულტურის იარაღი, მაგრამ ამავდროულად ენა ავტომატურია და შეიძლება განხილულ იქნეს კულტურისგან დამოუკიდებლად.

ცხადია, რომ ენობრივი პიროვნების ტიპოლოგია სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე შეიძლება აიგოს. როცა გვსურს განვიხილოთ ენობრივი პიროვნება ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტში, საყრდენად, ამოსავალ წერტილად ვიღებთ სოციოკულტურულ ნიშანს და ვადგენთ რომელი მეტყველი სუბიექტი ჩავთვალოთ ენობრივ პიროვნებად და განვსაზღვრავთ მის მოდელს თუ ტიპობრივ სახეს.

აქედან გამომდინარე, ენა არ არსებობს ჩვენ გარეშე, როგორც ობიექტური მოცულობა, იგი თვითონ ჩვენში, ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენს მეხსიერებაშია. ვ.ა.მასლოვა წერს, რომ ადამიანი მოიაზრება, როგორც გარკვეული ეროვნების, მენტალობის, და ენის მატარებელი, რომელიც მონაწილეობს ერთობლივ მოღვაწეობაში ეროვნული ერთობის სხვა წარმომადგენლებთან (Маслова В. Лингвокультурология, 2001:67). ენა არის ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს ადამიანს ადეკვატურად აღიქვას სამყარო. ვ.ჰუმბოლდტი ენას ადამიანის გონის უმთავრეს მოღვაწეობად მიიჩნევს. მისი აზრით, ენის ადეკვატური შესწავლისათვის აუცილებელია ადამიანის ცნობიერებასთან და აზროვნებასთან, კულტურასთან და სულიერ ცხოვრებასთან მისი მჭიდრო კავშირის გათვალისწინება, ჰუმბოლდტისთვის ენა ხალხის ერთიანი ენერგიაა, იგი ეროვნული ფორმის მქონე კოლექტიური მოვლენაა. ამდენად, ენობრივი კოლექტივი

ჰუმბოლდტის მოძღვრების ერთდროულად სოციალურ და ლინგვისტურ ცნებად გვევლინება (გამყრელიძე 2003:465).

ამრიგად, ენა წარმოადგენს კულტურის შემადგენელ ნაწილს და მის იარაღს. იგი არის კულტურის სარკე, ენა მკადიოდ გამოხატავს ეროვნული მენტალობის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს.

სეპირისა და უორფის ჰიპოტეზაში გამოიკვეთა ორი ძირითადი დებულება.

1. ენა განსაზღვრავს ამ ენაზე მოსაუბრე ერის აზროვნების ხერხებს;
2. რეალური სამყაროს აღქმის ხერხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ენაზე აზროვნებენ სუბიექტები.

სეპირისა და უორფის ჰიპოთეზა გამომდინარეობს დებულებიდან, რომ ენა არის საფუძველი იმ სურათისა, რომელიც ყალიბდება თითოეულ ადამიანში და აწესრიგებს საგნებისა და მოვლენების უდიდეს რაოდენობას, რომელიც გარე სამყაროზე დაკვირვებით გროვდება. ნებისმიერი საგანი ან მოვლენა ხომ მაშინაა ჩვენთვის გასაგები, როცა მას სახელწოდება აქვს. საგანი ან მოვლენა, რომელსაც სახელი არ აქვს, ჩვენთვის უბრალოდ არ არსებობს. ეძლევა რა სახელწოდება, ჩვენ ახალ ცნებას ვრთავთ ჩვენი აზროვნების უკვე ჩამოყალიბებულ სისტემაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ შეგვყავს ახალი ელემენტი ჩვენში უკვე არსებულ სამყაროს სურათში. უნდა ითქვას, რომ ენა არამარტო აღწერს სამყაროს, არამედ ქმნის იდეალურ სამყაროს ჩვენს შეგნებაში. ის ქმნის რეალობას. ადამიანი ხედავს სამყაროს ისე, როგორც ლაპარაკობს, ამიტომ ამტკიცებს უორფი, რომ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები, სამყაროს სხვადასხვანაირად აღიქვამენ (Yipf 1960: 162). ენასა და რეალურ სამყაროს შორის დგას ადამიანი, ენისა და კულტურის მატარებელი. ზუსტად ის აღიქვამს და შეიგრძნობს სამყაროს გრძნობითი ორგანოების საშუალებით. ამის საფუძველზე ექმნება მას წარმოდგენა სამყაროზე. ისინი თავის მხრივ თავიანთი აზრებს, დასკვნებს, წარმოდგენებს გადასცემენ სხვა ადამიანებს. ენასა და რეალურ სამყაროს შორის დგას აზროვნება (Сепир1993:45).

არავერბალურ მანიშნებლებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ინტერპერსონალურ კომუნიკაციაში; დადგენილია, რომ ადამიანთა ურთიერთობისას კომუნიკაციის 90% გამოსახვის არავერბალური საშუალებებით (ხმით, გამომეტყველებითა და სხეულის მოძრაობით) ხდება და საშუალოდ მხოლოდ 10% (7-11%) გადაიცემა ვერბალურის დახმარებით (Adelman, Mara B and Levine Deena R. "Beyond Language: Cross-Cultural Communication", Prentice Hall Regents, New Jersey, 1993:45).

არავერბალური კომუნიკაციების გამოყენებას საზღვაო სფეროში ძალიან დიდი როლი ენიჭება. ვერბალური კომუნიკაციაა: ოფიცრებსა და რიგითებს შორის კომუნიკაცია (რომელიც ხორციელდება ბრძანებებით) ეკიპაჟის წევრთა შორის კომუნიკაცია, რადიოკომუნიკაცია, რომელიც ხორციელდება ეკიპაჟსა და ნაპირს შორის ან ეკიპაჟსა და სხვა გემებს შორის. არავერბალური კომუნიკაცია ხორციელდება სხვადასხვა ფორმით: ჟესტებით, სასიგნალო დროშებით, სტვენით, მორზეს კოდით, სემაფორებით, შუქურებით და სხვა. მორზეს კოდი, შუქის სიგნალები, სემაფორები, ფერადი დროშები და სხვები გამოიყენება, როგორც საერთაშორისო კოდები. ისინი გამოიყენება გემის უსაფრთხო ნავიგაციისთვის და აგრეთვე მათი სიმარტივის გამო. საკმაოდ რთულია არავერბალური კომუნიკაციის კლასიფიკაცია. ამის შესახებ არსებობს ბევრი თეორია. არავერბალური კომუნიკაციისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მონაწილე მხარეთა ტიპებს, გარე პირობებს, აღჭურვილობას. უნდა გავითვალისწინოთ:

- მანძილი მხარეთა შორის;
- მხარეებს არა აქვთ აღჭურვილობა(იარაღი) კომუნიკაციისათვის;
- მხარეები არიან სხვადასხვა ქვეყნიდან და არიან სხვადასხვა კულტურის მატარებლები და საუბრობენ სხვადასხვა ენებზე;

გემის მექანიკოსები ჟესტების ენას 50-იან წლებში იყენებდნენ სამანქანო განყოფილებაში. იქ ხშირად გამოიყენებოდა ჟესტები და სხვადასხვა ნიშნები,

რათა გაეგებინებინათ ერთმანეთისთვის სიტყვების მნიშვნელობა, რადგან იქ არსებული ხმაურის გამო ვერბალური კომუნიკაცია ხშირად ვერ ხერხდებოდა. ახლა ეს ჟესტები იშვიათად გამოიყენება და მხოლოდ ასაკოვან მეზღვაურებს ახსოვთ.

არავერბალური კომუნიკაციის კიდევ ერთი საშუალებაა სასიგნალო დროშები. გარდა იმისა, რომ გემს გააჩნია კონკრეტული ქვეყნის ქვეშ მცურავი დროშა, გემს ასევე ანბანის ყოველი ასოსთვის აქვს სხვადასხვა დროშა. მეზღვაურები ხშირად გამოიყენებენ ფონეტიკურ ანბანს რადიოთი ან ტელეფონით შეტყობინების გადაცემის დროს. ფონეტიკური ანბანი არის განსაზღვრული სიტყვები რათა გავარკვიოთ და განვსაზღვროთ სხვადასხვა ასოები შეტყობინებაში. ამ დროს სიტყვებს წარმოვთქვამთ დამარცვლით. მაგალითად: "sailor" შეიძლება გავშიფროთ როგორც "Sierra alfa india lima Oscar romeo" თუ სიტყვას დავმარცვლავთ ფონეტიკური ანბანის მიხედვით.

I.III კომუნიკაციური ინტერაქციის სფეროები.

დიალოგი, მონოლოგი, როლებრივი პარტიტურა კომუნიკაციაში

პრაქტიკულად ყველაფერი, რაც ადამიანის გარშემოა და შეადგენს მის საარსებო გარემოს, კომუნიკაციურ გარემოს წარმოადგენს. ამასთანავე, ამ გარემოს ნაწილს შეადგენს საგნები, მოვლენები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კომუნიკაციური ფუნქციით, ხოლო ნაწილი-საკუთრივ კომუნიკაციური გარემოა, რომლის მთავარი დანიშნულებაა შეტყობინების გადაცემა. აღვნიშნავთ, რომ შეტყობინება არასოდეს არ იგზავნება მხოლოდ შეტყობინებისათვის. მისი მიზანია, მიმღების (ან თავად გამგზავნის, რომელიც იაზრებს საკუთარ მოქმედებებს) მოქმედების გამოწვევა.

როგორც მოგეხსენებათ, ნებისმიერ დიალოგს, თუნდაც მონოლოგს აქვს თავისი როლებრივი პარტიტურა, ჩვენ მიზნად ვისახავთ ამ კომუნიკაციაში ინდივიდთა როლების განსაზღვრას.

ადამიანთა ურთიერთობა ისევე უსაზღვრო და მრავალფეროვანია, როგორც თვით ადამიანთა საზოგადოება. ეს მრავალფეროვნება აისახება კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმაში, ტიპსა და სახეში. თანამედროვე კომუნაკატივისტიკაში გამოიყოფა კომუნიკაციის შემდეგი ფორმები: **პიროვნებათშორისი, მასობრივი და კულტურათშორისი**. პიროვნებათშორისი კომუნიკაცია ნიშნავს ინფორმაციის გაცვლას და მის ინტერპრეტაციას ორი ან მეტი ინდივიდის მიერ, რომლებიც კონტაქტში შედიან ერთმანეთთან. პიროვნებათშორისი კომუნიკაციის განმსაზღვრელ ფაქტორად მათი ურთიერთობები მიიჩნევა.

კომუნიკაციის ბუნებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: დრო და მონაწილეთა რაოდენობა. პიროვნებათშორისი კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია კონტექსტის ცოდნა და საკუთარი პოზიციის აღქმა. ყოველი ადამიანი რამდენიმე სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნება. ასეთი ჯგუფები: ოჯახი, ეროვნება, სქესი, და ა.შ მათში გაერთიანება ადამიანს დამოუკიდებლობას მატებს; თავიდან აცილებს მას სოციალურ იზოლაციას. კომუნიკაციის ეს ფორმა მთავარ როლს თამაშობს ადამიანის სოციალიზაციაში.

კომუნიკაციის პიროვნებათშორისი ხასიათი ითვალისწინებს, რომ აქ საქმე გვაქვს ადამიანთა მცირე ჯგუფის უშუალო ურთიერთობასთან, რომ ისინი ტერიტორიულად ახლოს ცხოვრობენ და აქვთ საშუალება განახორციელონ უკუკავშირი. პიროვნებათშორისი კომუნიკაცია ყოველთვის პიროვნულადაა ორიენტირებული, რადგანაც დაფუძნებულია პარტნიორის უნიკალურობაზე, ითვალისწინებს პარტნიორის ემოციურ მდგომარეობას, პიროვნულ თვისებებს და თავის მხრივ ელოდება საპასუხო ყურადღებას. კომუნიკაცია არის კომპლექსური, ორმხრივი პროცესი, რომელიც მოიცავს შეტყობინების კოდირების, გადაცემისა და გაშიფრვის პროცესს. ეფექტური კომუნიკაცია საჭიროებს კარგ კომუნიკატორს,

რომელიც თავის შეტყობინებას წარმოადგენილ აუდიენციას ნათლად და ეფექტურად გადასცემს. კომუნიკაციას დიდი როლი ენიჭება ადამიანებს შორის ურთიერთობაში.

როგორც კომუნიკაციის სხვა სახეები, ასევე პიროვნებათშორისი კომუნიკაცია შეიძლება იყოს ეფექტიანი ან უეფექტო. ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ეფექტიანობის ხარისხი დამოკიდებულია ურთიერთობის სიტუაციაზე. მაგალითად: ადამიანი შეიძლება იყოს წარმატებული კომუნიკატორი თანატოლებთან ან კოლეგებთან ურთიერთობისას, მაგრამ კრახი განიცადოს სხვა ასაკის ან სხვა სოციალური მდგომარეობის ადამიანებთან, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გემზე არსებული იერარქიული სიტუაცია.

პიროვნებათშორისი კომუნიკაცია-ეს არის ერთმანეთთან უშუალო კონტაქტში შემავალი ორი, ან რამდენიმე ინდივიდის მიერ ინფორმაციების გაცვლის პროცესი და მათი ინტერპრეტაცია.

არსებობს კომუნიკაციისადმი სამი მიდგომა:

მონოლოგური – თითოეული კომუნიკანტი ცდილობს განაცხადოს თავისი პოზიცია ისე, რომ სრულიად არ ფიქრობს ზეგავლენა მოახდინოს მოსაუბრეზე.

დიალოგური - კომუნიკანტები ცდილობენ გაითვალისწინონ ერთმანეთის ინდივიდუალური თავისებურებანი და შესაბამისად, მოახდინონ საკუთარი ცნობიერების ტრანსფორმირება.

ავტოკომუნიკაცია წარმოებულია დიალოგური კომუნიკაციიდან. მე-მე (მე არის მე-ს პერმანენტული ევოლუციის სხვა მდგომარეობა. მოქმედებს დიალოგური კომუნიკაცია მე-სხვა. მე უბრალოდ იკავებს სხვა პოზიციას. ე.ი. ავტოკომუნიკაცია დიალოგური კომუნიკაციის რედუცირებული ვარიანტია.

კომუნიკაციის ეფექტურობის კვლევის საკითხმა მეცნიერები მიიყვანა (Smith, Samovar, Porter) დასკვნამდე, რომ ეფექტიანი პიროვნებათშორისი კომუნიკაცია წარმოადგენს კონკრეტული ქმედებების, უნარების, ჩვევების სისტემას, რომლებიც გენეტიკური არ არის, ისინი უნდა ისწავლო. პიროვნებათშორისი კომუნიკაციის

ხელოვნება განისაზღვრება იმით, თუ რამდენად შეუძლია ადამიანს აღიქვას და განავითაროს ეს ქმედებები. ჩვევები, უნარები, თვისებები, რომლებიც აუცილებელია ეფექტიანი კომუნიკაციისათვის, აისახება “კომუნიკაციური კომპეტენტურობის” ცნებაში. იგი შედგება შემდეგი ფსიქოლოგიური თვისებებისგან:

- ✓ ადამიანის უნარი, მოახდინოს კომუნიკაციური პროგნოზირება იმ სიტუაციისა, რომელშიც ურთიერთობა მოუხდება;
- ✓ კომუნიკაციური ხელოვნება, ე.ი. შესაძლებლობა იპოვო კომუნიკაციის თემის შესაბამისი ტაქტიკა და მოახდინო კომუნიკაციური ჩანაფიქრის რეალიზება;
- ✓ უნარი, გაერკვე საკუთარ თავში, საკუთარ და პარტნიორის ფსიქოლოგიურ პოტენციალში;
- ✓ თვითგანწყობის შექმნის უნარი, თვითრეგულირება ურთიერთობის პროცესში, ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვის უნარი, ემოციური განწყობა სიტუაციის შესაბამისად.

ამრიგად, ყოველივე ზემოთთქმული, მეცნიერთა და მკვლევართა მოსაზრებებზე დაყრდნობით, შემდეგი ძირითადი დებულებების სახით შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ:

- ✓ კულტურათშორისი კომუნიკაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ურთიერთობის სხვადასხვა ფორმის ერთობლიობა, ან როგორც სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა და მათ ჯგუფებს შორის ურთიერთობა.
- ✓ კომუნიკაციას, იქნება ეს ვერბალური თუ არავერბალური, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზღვაო სფეროში. მეზღვაურისთვის ეფექტური კომუნიკაციის დამყარება წარმოადგენს აუცილებლობას, ამისათვის კი აუცილებელია როგორც საზღვაო ენის - ინგლისურის, ასევე ტერმინოლოგიის ცოდნა.

✓ საზღვაო კომუნიკაციაში როლებრივ პარტიტურას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. გემი, არის ფაქტიურად, სამხედრო სისტემით იერარქიულად დაკომპლექტებული, სადაც არის კაპიტანი, მართვის დონისა და ექსპლუატაციის დონის მეზღვაურები, რომელებიც ემორჩილებიან კაპიტნის და მართვის დონის მეზღვაურების მითითებებს და ბრძანებებს.

აღსანიშნავია, რომ სტანდარტული საზღვაო კომუნიკაცია ხასიათდება მაქსიმალური ენობრივი კომპრესიით და გამოიხატება ბრძანების სახით. ბრძანებები გადმოცემულია ფრაზებით, რომელშიც მაქსიმალურად შეკვეცილია ინფორმაცია. ეს კარგად ჩანს სტანდარტულ საზღვაო კომუნიკაციურ ფრაზებში (მაგ: *Dead slow ahead! Fuel stopped! Full speed ahead! Require radio medical assistance*).

თავი II. საზღვაო კომუნიკაცია როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობის სპეციალიზირებული (კოდიფიცირებული) სფერო

როგორც უკვე აღვნიშნეთ საზღვაო კომუნიკაციის სპეციფიკა ძალზედ მკაფიოა. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოს შერეული (სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული) ეკიპაჟის შემთხვევაში კომუნიკაციის პრობლემებს. მეზღვაურებს „ცუდი“ ინგლისურით უხდებათ კომუნიკაცია, ექსტრემალური სიტუაციის დროს გემზე ყველა მშობლიურ ენას მოიშველიებს. რაც, ბუნებრივია, კომუნიკაციის, განსაკუთრებით, კი, პროფესიულ კომუნიკაციის წარმატებულობას ვერ უზრუნველყოფს. გამომდინარე აქედან, კვლევაში მიზნად დავისახეთ შეძლებისდაგვარად სიღრმისეულად შევისწავლოთ აღნიშნული პრობლემა. ტერმინ კომუნიკაციის ფართოდ გავრცელებულობა ხელს უწყობს, მასზე, როგორც ერთი შეხედვით მარტივ ვერბალურ პროცესზე წარმოდგენის ჩამოყალიბებას, რომელიც ყველასათვის ადვილად გასაგებია. შესაბამისად, ხშირად იქმნება მოლოდინი, თითქოს იოლ მოვლენასთან გვექონდეს საქმე, და სწორედ აქ

ვაწყდებით წინააღმდეგობას. სწორედ კომუნიკაციაა ის საშუალება, რომლის წარუმატებლობამ შეიძლება წარმოქმნას მრავალი გაუთვალისწინებელი კონფლიქტი და, პირიქით, რომლის წარმატებულ წარმართვას არაერთი კონფლიქტისა და გაუგებრობის, მათ შორის კი, პროფესიულის, დაძლევისა და მოგვარების უნარი შესწევს.

შევადართ ორი სურათი:

პირველი - მეზღვაური, საკუთარ თავზე ორიენტირებული, დამოუკიდებელი პიროვნება, რომელიც სათანადოდ არ ფლობს უცხო ენას და არ არის კონტაქტური. ერთის მხრივ ეს არის ინდივიდი, რომლის ქცევაც შესაძლოა იმსახურებდეს მოწონებას, მაგრამ რა შეიძლება მოყვეს ამ მეზღვაურის სხვა მეზღვაურებთან ურთიერთობას?! ის ამჯობინებს თავად, სხვებთან კონტაქტში შეუსვლელად იმოქმედოს, რამაც შეიძლება არასწორ შედეგამდე მიიყვანოს.

მეორე - მეზღვაური, კომუნიკაციის უნარით დაჯილდოვებული ინდივიდი, რომელსაც შეუძლია ურთიერთობაში ადვილად შევიდეს ხალხთან და სხვისი აზრის გათვალისწინებით მივიდეს სწორ გადაწყვეტილებამდე.

საზღვაო კომუნიკაცია კულტურათაშორისი ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო სახეა. რომელიც აპრიორი მოიაზრებს მონათესავე თუ სრულიად განსხვავებული, რიგ შემთხვევებში კი თითქოს ურთიერთსაპირიპირო, ოპოზიციური კულტურების წარმომადგენელთა საქმიანი და პიროვნული ურთიერთობის არსებობას. საზღვაო კომუნიკაციის ანალიზი მისი კულტურათაშორისი შემადგენლის თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანია, რამეთუ ნებისმიერი კულტურის წარმომადგენელი კომუნიკანტის საკომუნიკაციური სტილი მისი კულტურის უშუალო გავლენას განიცდის. ბუნებრივია, ასეთი სახის კომუნიკაცია განსაკუთრებულ დატვირთვას, გნებავთ, სიმძაფრეს იძენს გემებზე, რომელთა ეკიპაჟებიც მრავალეროვანია. კულტურაზე საუბარი მეტად სათუთია. თუმცა, აუცილებელი, რადგან სწორედ ინტერკულტურულ კომუნიკაციაში დაშვებული ლაფსუსები არაერთი

კატასტროფის მიზეზი გამხდარა. სწორედ ამან მისცა ბიძგი იმასე, რომ ინგლისური ენა გამხდარიყო საერთაშორისო საზღვაო ენა.

კომუნიკაციის გაუმართაობას, როგორც წესი, ყველაზე ხშირად იწვევს ენის სუსტად ცოდნა. უმეტესად ენა, რომელიც გამოიყენება გემზე, არის ეკიპაჟის ეროვნული ენა, მაგრამ იმდენად რამდენადაც, თანამედროვე გემები უმეტესად ინტერნაციონალურია, შემოღებული იქნა საერთო საზღვაო ენა, რომელიც აუცილებლად უნდა იცოდეს ეკიპაჟმა, რომ განახორციელოს სავაჭრო ოპერაციები, კომუნიკაცია დაამყაროს ნაპირთან ან სხვა გემებთან და თავიდან აიცილოს ენობრივი შეცდომები, რომელიც იწვევს სხვადასხვა გაუგებრობას. ენის ცუდად ცოდნა ქმნის ბარიერებს როგორც თავად გემებს, ისე ნაპირსა და გემს შორის. ეს არის არსებითი მიზეზი საზღვაო ავარიებისა. სტატისტიკით დადგენილია, რომ საზღვაო შემთხვევების ოცი პროცენტი დაკავშირებულია ენობრივი კომუნიკაციის პრობლემებთან.

ვერბალური კომუნიკაციის საჭიროება კომერციულ საზღვაო სფეროს წარმომადგენლებს შორის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გემი ცურავს ღია ზღვაში, ხვდება მეჩხერ წყლებში და ავარიების ალბათობა ძალიან დიდია. პორტში ლოცმანის აყვანის დროს, გემმაც და ლოცმანმაც უნდა შეძლონ ეფექტური კომუნიკაციის დამყარება უსაფრთხოების მიზნით. იმათ, ვინც სამგზავრო ლაინერებზე მუშაობს, უნდა შეძლონ გამართული კომუნიკაციის დამყარება მგზავრებთან და უნდა იგებდნენ ერთმანეთის ენას. ბრძანებები გემის შიგნით ხდება ყოველდღე ეკიპაჟის წევრებს შორის. ისინი გასცემენ ბრძანებებს “ნორმალური” და “ავარიული სიტუაციების” დროს. ვახტის შემდეგ, არასამუშაო საათებში ეკიპაჟის წევრებს ასევე სჭირდებათ კომუნიკაცია.

არსებობს ოფიციალური “უბედური შემთხვევების ჩანაწერები”, (“Accident Reports”) სადაც დაფიქსირებულია საზღვაო ავარიების შესახებ ყველა მონაცემი. ხშირად ავარიების გამომწვევ მიზეზებს ადგენენ შავი ყუთის მეშვეობით. ავიაციის დროს შავ ყუთში იწერება შიგა კომუნიკაცია. ასეთი ხელსაწყო შესაძლებელია

გემებზეც, მაგრამ მათი გამოყენება შეზღუდულია და მონაცემები ამ წყაროდან ხშირად არ არის ხელმისაწვდომი ავარიების მკვლევრებისთვის.

თუ გადავხედავთ საზღვაო ავარიების შესახებ აშშ-ს, კანადის, დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიის და დანიის მოხსენებებს. ჩვენ ვნახავთ უამრავ მაგალითს, სადაც ავარიების გამომწვევი ენასთან დაკავშირებული პრობლემებია. შეიძლება გამოვყოთ შემდეგი პრობლემები:

ა) პრობლემები, სხვადასხვა კულტურის ეკიპაჟის წევრებს შორის. გემი *Bunga Terai Satu* მეჩერზე შეჯდა არასწორი კურსის გამო. ავარიის გამოძიების შემდეგ დადგინდა, რომ ეს მოხდა კულტურათა სხვადასხვაობის გამო. თანაშემწემ უბრძანა პირველი კლასის მატროსს, რომ დაედგინა გემის ადგილმდებარეობა GPS –ით ყოველ საათში. მატროსი იყო ჭკვიანი ახალგაზრდა კაცი, ექვსწლიანი საზღვაო გამოცდილებით. მან იცოდა, როგორ დაედგინა გემის ადგილმდებარეობა GPS–ით, მაგრამ არ იცოდა რუკები და მისი ნიშნები. მან ვერ გაითვალისწინა, რომ იდგა საშიშროების წინაშე. ის ფიქრობდა, რომ თანაშემწე თვითონ მოვიდოდა საჭირო დროს და შეცვლიდა გემის კურსს. ეროვნული კულტურიდან გამომდინარე მატროსმა იცოდა, რომ რაღაც ვერ იყო მწყობრში, მაგრამ ვერ გაბედა თანაშემწისთვის შეკითხვა. მათ კულტურასა და ცნობიერებაში არის უდიდესი იერარქიული საფეხური ოფიცრებსა და რიგითებს შორის.

ბ) პრობლემები, სხვადასხვა კულტურის, ენის ეკიპაჟსა და ლოცმანს შორის. ეკიპაჟსა და ლოცმანს შორის იყო შემთხვევა, როცა კულტურათა განსხვავებამ ჩინურ ეკიპაჟსა და ამერიკელ ლოცმანს შორის გამოიწვია გაუგებრობა. სიტყვა “არა” არ ითვლება ზრდილობიანად ჩინეთში. ისინი უფროსს ყოველთვის პასუხობენ “დიახ”, მაშინაც კი როცა იციან, რომ უნდა უპასუხონ “არა”. ამგვარად გემის პორტში შეყვანის დროს ლოცმანმა ვერ მიიღო სწორი პასუხი სამანქანო განყოფილებიდან და ხიდურიდან. ამან კი გამოიწვია ავარია.

გ) პრობლემები, განსხვავებული კულტურის, ენის ეკიპაჟის წევრებსა და მგზავრებს შორის. ბორანი “Skagerak” ინციდენტი მოუხდა ნორვეგიასა და დანიას

შორის ცურვის დროს. დროულად ჩატარებული სამაშველო ოპერაციების გამო მოხერხდა ყველა მგზავრის გადარჩენა, მაგრამ მოხდა ასეთი გაუგებრობა: გზავრებს უბრძანეს მოსულიყვნენ თავშეყრის ადგილას. მათ არ გამოიყენეს მიკროფონები. ეკიპაჟის წევრები კაიუტებზე აკაკუნებდნენ და უხსნიდნენ მგზავრებს, რომ ჩაცვით მაშველი ჟილეტები და გამოსულიყვნენ თავშეყრის ადგილას. რამდენიმე ფრანგმა მგზავრმა ვერ გაიგო ინსტრუქცია და იფიქრეს, რომ ისინი ჩასვლის შესახებ გააფრთხილეს. მათ ჩაიცვეს, აიღეს თავიანთი ბარგი და გამოვიდნენ თავშეყრის ადგილას, სადაც დაინახეს, რომ ყველა მგზავრს სამაშველო ჟილეტები ეცვა. საბედნიეროდ, მგზავრები გადარჩნენ დროული სამაშველო სამუშაოების საშუალებით მაგრამ ყველაფერ ამას შეიძლებოდა ცუდი შედეგი მოჰყოლოდა.

დ) პრობლემები, სხვადასხვა გემებს კულტურის, ენის ეკიპაჟის წევრებსა და გარე კომუნიკაციებს, გემებს შორის. *MARS-ის ანგარიში (2002) ეხება VHF გადაცემების სერიას, რომელთა მონიტორინგი განხორციელდა სამი დღის განმავლობაში. ხომალდი სუსტი ინგლისური ენით აგზავნიდა შეტყობინებას შემდეგნაირად: "All ships, all ships, this is I have problem \with my rudder. My speed is 14 knots. Asking all ships to keep clear of me". შესაბამისი ქმედება განხორციელდა. ამ მაუწყებლობის ერთ მომენტში, რომელსაც სხვა მრავალი მსმენელი, ერთმა ხომალდმა იკითხა, ჰქონდა თუ არა გემს რადარის პრობლემა. სიტყვები თითქმის იდენტურად ჟღერდა - მაშინ როდესაც, rudder - ვერტიკალური საჭე, საჭის ფრთა (გემის ან ნავის კიჩოზე) და radar - რადიოლოკაციური სადგური, რადიოლოკატორია. სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები ერთმანეთსგან აბსოლუტურად განსხვავებულად წარმოთქვამენ ამა თუ იმ სიტყვას, სახელდობრ, " it is my ruddah ", "Is it your rada? ", " Yes, it is my rodde, not my rudah "etc.*

საერთაშორისო საზღვაო ენად აღიარებული ინგლისური ენის, საზღვაო ტერმინებისა და ფრაზების ცოდნა აუცილებელია მეზღვაურებისათვის. მეზღვაურების სერთიფიცირების დროს ეს საერთაშორისო მოთხოვნაა, რაც გადამწყვეტი ფაქტორია უსაფრთხოებისთვის, ეფექტური და ხელსაყრელი

სატვირთო ოპერაციების დროს. თუმცა, ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როცა ინგლისურად მოლაპარაკებებიც ვერ უგებენ ერთმანეთს. ამას ემატება სხვადასხვა ერისა და კულტურის ინგლისური ვარიანტები. გარდა ამისა არის სიტყვები, რომელთაც აქვთ სხვადასხვა მნიშვნელობა ბრიტანულ და ამერიკულ ვარიანტებში. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიული ენის უნიფიკაციასა და სტანდარტიზაციის პროცესებს.

მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების მიჯნაზე ქართული საზღვაო ტერმინოლოგია სწრაფად იცვლება. თუ საბჭოთა პერიოდში გამოიყენებოდა რუსული საზღვაო ფრაზები და ტერმინები (მეზღაურთა უმრავლესობა კარგად ფლობდა რუსულ ენას), ახლა ქართული საზღვაო ტერმინოლოგია ყალიბდება საერთაშორისო სტანდარტული სისტემის მიხედვით, შესაბამისად დღესდღეისობით სურათი საგრძნობლად შეცვლილია და ქართველი მეზღაურების დიდი ნაწილი გამოირჩევა კარგი საზღვაო ინგლისურით, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები ენასთან მიმართებაში და აღნიშნულის აღმოსაფხვრელად რიგი ღონისძიებები ტარდება საზღვაო საგანმანათლებლო სივრცეში. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში აკადემიაში დანერგულია სასზღვაო ინგლისური ენის სწავლების Marlins-ის მიერ აღიარებული ცენტრი, რომლის მიზანს სწორედ მეზღვაურთა საზღვაო ინგლისური ენის დონის ამაღლება წარმოადგენს.

თავი III. კომუნიკაციური ინტერაქციის სფეროების ფრაზარიუმი, მისი დინამიკა და მთარგმნელობითი ანალიზი

III.I საზღვაო თემატიკის ფრაზარიუმის მთარგმნელობითი ანალიზი

საზღვაო ტერმინოლოგიისა და ფრაზების კვლევისას წლების განმავლობაში გრძელდებოდა და არც დღეს წყდება დისკუსია საკვლევი საკითხების გარშემო. ძირითადი სირთულე განპირობებულია იმ ფაქტით, რომ კვლევის ობიექტს

წარმოადგენს სტრუქტურულად და სემანტიკურად ჰეტეროგენული ფენომენი, რომლის ნომინაციისათვის ლინგვისტურ ლიტერატურაში გამოიყენება სხვადასხვა ტერმინი.

ბევრი ფრაზა, რომლებიც აქტიურად გამოიყენება ყოველდღიურ მეტყველებაში დასაბამს იღებს ნაოსნობიდან, კერძოდ კი დღიდან ზღვაოსნობის ისტორიისა. ფაქტობრივად, ყოველივე ეს მეტაფორულია და დღესდღეობით ფრაზების ორიგინალი მნიშვნელობა დავიწყებულია. სხვა ენებისა და კულტურის გავლენა ძალზედ დიდია საზღვაო წარმოშობის ინგლისური ფრაზების გრძელ სიაში.

ეჭვგარეშეა, რომ ზღვაოსნობა აგრეთვე გვევლინება წყაროდ ბევრად უფრო არასანდო ეტიმოლოგიისა, ვიდრე სხვა ნებისმიერი სფერო. ეს შეიძლება აიხსნას დაკოჟრილხელებიანი მეზღვაურების რომანტიულ იმიჯთან, რომლებიც მეზღვაურთა გუნდურ სიმღერებს მღერიან და რთული ცხოვრების წესს მისდევენ ზღვაზე. ბოლოს და ბოლოს საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერს ფრაზა ('cold enough to freeze the balls off a brass monkey' „ისე ცივა, ისე ცივა, რომ კბილი კბილს მაცემინებს“) „ისე ცივა, თითბერის მაიმუნს ბურთებიც კი გაეყინაო“, რომელიც თითქოს და მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ გემზე მილსადენის შემაერთებელი ნაწილები თითბერისა იყო და ამასთანავე მილსადენს ძველად “monkey”-ს უწოდებდნენ; ან კიდევ POSH თითქოს ნიშნავს ('Port out, starboard home') „პორტიდან გამოსვლა, მარჯვენა ბორტისაკენ“. საბედნიეროდ, ჩვენს მცდელობას სიმართლის სიყალბისგან გამოსაყოფად, ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ საუკუნეების განმავლობაში, ზღვაზე განხორციელებული ქმედებები დაწვრილებით იქნა დაფიქსირებული სადაზღვევო ჩანაწერებში, საგაზეთო სტატიებსა და სრულად გემების სავახტო ჟურნალებში (გემისა და ეკიპაჟის ცხოვრების აღმწერი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც სრულად ასახავს გემის საქმიანობას, აგრეთვე ამ საქმიანობის თანამდევ პირობებსა და გარემოებებს). ტერმინს „გემის ჟურნალი“ გააჩნია საინტერესო ეტიმოლოგია. ძველად, გემის მოძრაობის გამოსათვლელად, კიჩოდან აგდებდნენ ხის ფიცარს

მიმაგრებული თოკით. თოკის გაშვების სიჩქარე იზომებოდა თოკზე გაკეთებული კვანძების დროსთან მიმართებაში დათვლის მეშვეობით. შემდეგ ამ პარამეტრებს აფიქსირებდნენ გემის ჟურნალში. ასე მივიღეთ ტერმინი „გემის ჟურნალი“ და „კვანძი“, სიჩქარის საზომი ერთეული ზღვაზე.

ქვეთმოყვანილი მაგალითები კიდევ ერთხელ ცხადყოფს საზღვაო წარმომავლობის მქონე ფრაზეოლოგიზმების ყოველდღიურ მეტყველებაში დამკვიდრებას და აღნიშნული წარმომავლობის მივიწყებას.

1. Broad in the beam – с малым удлинением (о судне), широкозадый - დიდი თემო.

Meaning - Having wide hips(თემო) or buttocks (დუნდული).

Origin - This phrase derives from the nautical term 'beam' (ширина судна, გემის კილი, ტრავერზი) - the widest point of a ship. Beam is first recorded in Captain John Smith's invaluable record of early seafaring terms - The Seaman's Grammar, 1627: "Suppose a Ship of 300. Tunnes be 29 foot at the Beame."

The figurative use of beam referring to people's hips came into being in the 20th century. An early citation of that comes in Hugh Walpole's Hans Frost, 1929: "He stood watching disgustedly Bigges' broad beam." In the 20th century the term was been adapted to mean 'obese; having wide buttocks'. Presumably this metaphor was aided by the similarity of sound to 'broad in the bum'. Sir Hugh Seymour Walpole used the term 'broad beam' in this context in his 1929 novel Hans Frost: He stood watching disgustedly Bigges' broad beam.

2. Batten down the hatch - полундра, приготовиться к худшему - განგაშის ზარი, უარესისთვის მზად ყოფნა.

Meaning - Prepare for trouble.

Origin - 'Hatch' (ლუკის სახურავი) is one of those words with dozens of meanings in the dictionary. In this case we are looking at the 'opening in the deck of a ship' meaning. Ships' hatches, more formally called hatchways, were commonplace on sailing

ships and were normally either open or covered with a wooden grating to allow for ventilation of the lower decks. When bad weather was imminent, the hatches were covered with tarpaulin and the covering was edged with wooden strips, known as battens, to prevent it from blowing off. Not surprisingly, sailors called this 'battening down'.

3. Tell it to the marines - ври дальше, заливай; Расскажи кому-нибудь другому
- შენი მოასტყუებელი კბილი დიდხანია ამოვიღეო; კარგი, რაა.

Meaning A scornful response to a tall and unbelievable story.

Origin

The US Marine Corps are probably the best-known marines these days and this American-sounding phrase is often thought to refer to them. This isn't an American phrase though and, although it has been known there since the 1830s, it originated in the UK and the marines in question were the Royal Marines.

The Duke of York's men were soldiers who had been enlisted and trained to serve on-board ships. The recruits were considered green and not on a par with hardened sailors, hence the implication that marines were naive enough to believe ridiculous tales, but that sailors weren't. Most of the early citations give a fuller version of the phrase - "You may tell that to the marines, but the sailors will not believe it".

III.II კომუნიკაციის უზრუნველყოფის ანალიზი სამგზავრო გემის უსაფრთხოებისათვის

ზღვაზე სიცოცხლის უსაფრთხოება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მთავარი მიზანია. შესაბამისად, სამგზავრო გემის მგზავრების უსაფრთხოება, სადაც აკუმულირებულია საკმაოდ დიდი რაოდენობა ადამიანებისა, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს.

ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის საერთაშორისო კონვენციის (SOLAS) როგორც ჩამოყალიბება, ასევე ისტორია პირდაპირ კავშირშია საქვეყნოდ ცნობილი საკრუიზო გემების ინციდენტებთან. შესაბამისად, შევეცადეთ განგვეხორციელება ანალიზი სამგზავრო გემების ინციდენტებისა, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს IMO-ს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კონვენციის როგორც ჩამოყალიბებაში, ასევე მასში ნიშანდობლივი და სასიცოცხლო მნიშვნელობის ცვლილებების შეტანაში. აქვე, შევეცდებით ისეთი მნიშვნელოვანი ლინგვისტური შეცდომების იდენტიფიცირებას, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სამგზავრო გემების უსაფრთხოებასთან.

ინციდენტი №1

1912 წლის 15 აპრილი - ოლიმპიკის კლასის ინგლისური ლაინერი ტიტანიკი (1 517 დალუპული) ჩაიძირა აისბერგზე შეჯახებისას. გემზე მხოლოდ 20 მაშველი ნავი იყო, რითაც შესაძლებელი იქნებოდა მგზავრების მხოლოდ ნახევარის გადარჩენა.

შესაბამისი ინიციატივა:

1914 წელს შეიქმნა საერთაშორისო ყინულის პატრული და რადარი, როგორც შეჯახების საწინააღმდეგო სისტემა.

ინციდენტი №2

1914 წლის 29 მაისი - ჰოლანდიური ლაინერი RMS empress of ireland ჩაიძირა (1 517 დალუპული) მეორე გემზე დაჯახებისას.

შესაბამისი უსაფრთხოების ინიციატივა:

დაინრეგა გემის დახრილფორმტვენიანი ერდო (ცხვირი), რაც დღემდე გამოიყენება.

ინციდენტი №3

1934 წლის 8 სექტემბერი - ხანძარი SS Morro Castle (137 გარდაცვლილი).

შესაბამისი უსაფრთხოების ინიციატივა:

1936 წელს მიღებულ იქნა სავაჭრო ფლოტის გემების ქარტია, ხოლო 1942 წელს დაარსდა ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო-სავაჭრო აკადემია.

იმისათვის, რომ გამოგვეკვლია სამგზავრო გემის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც კვლავ ხდება ზღვაზე, ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა სამგზავრო გემზე მომხდარი საზღვაო ინციდენტები (2014 წ.) და შედეგებმა გვიჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში (24 შემთხვევიდან) ნაკლოვანება ეხება ეკიპაჟის წევრების უუნარობას აწარმოონ ეფექტური კომუნიკაცია გემზე მიმდინარე წვრთნების დროს.

დასკვნა

ჩვენს მიერ კვლევის დასაწყისში დასახული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, სამეცნიერო ლიტერატურაზე დაწყდნობითა და ემპირიული მასალის კვლევის საფუძველზე, კვლევის შედეგები შემდეგი დებულებების სახით შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ:

1. კომუნიკაციის ორკომპონენტია - ერთი მხრივ ლინგვისტური შემადგენლის, მეორე მხრივ კი ეროვნულ-კულტურული არსის ურთიერთმიმართების კვლევა განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ისეთ პროფესიულ საქმიანობაში, როგორცაა საზღვაო კომუნიკაცია - ერთგვარ დახურულ, შემოსაზღვრულ სივრცეში შერეული (სხვადასხვა ეროვნების) შერეული ეკიპაჟის შემთხვევაში. განსაკუთრებით კი დღეს, როცა საქართველოში პროფესიული ურთიერთობის ეროვნულ საფუძველზე ხდება გადასვლა, დღის წესრიგში განსაკუთრებული სიმძაბრით დგება საზღვაო ფრაზარიუმისა და ტერმინოლოგიური ბაზისის ჩამოყალიბების საკითხი, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიონალთა წარმატებულ კომუნიკაციას;
2. მიუხედავად საერთო სამუშაო, პროფესიული ენისა, საერთო სამუშაო სივრცისა და მიზნების ერთობისა, რაც, თითქოსდა, გაგების გამარტივების გარანტია, საზღვაო კომუნიკაციაში, კომუნიკანტთა მრავალეროვნულობის

გათვალისწინებით, საქმე გვაქვს ერთი ენის ფარგლებში განხორცილებულ მრავალკულტურულ ინტერკულტურულ კომუნიკაციასთან. ისეთი კომუნიკაციის ლინგვო-კულტუროლოგიურ შემადგენელთა ბუნებისა და მათი ურთიერთმიმართების გათვალისწინება და მეცნიერული კვლევა, როდესაც, შესაძლოა კომუნიკანტთა რაოდენობა წარმოდგენილ კულტურათა რიცხვს ემთხვეოდეს, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია;

3. საზღვაო კომუნიკაციის როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობის სპეციალიზირებული (კოდიფიცირებული) სახის წარმატებას ან წარუმატებლობას ისეთივე ხარისხით განაპირობებენ მისი ვერბალური და არავერბალური არხები და მათი (კომუნიკანტთა, რომლებიც ამ ენების, კულტურების მატარებლები და რეპრეზენტატორები არიან) ეროვნული და ინტერნაციონალური ასპექტები;

4. კომუნიკაციური ინტერაქციის სფეროების ფრაზარიუმის ჩამოყალიბება, მისი დინამიკის აღწერა/შეფასება მნიშვნელოვანია მთარგმნელობითი თვალსაზრისითაც. რადგან კომუნიკაციური ინტერაქციის სფეროები, შესაძლოა, ვითარდებოდნენ პარალელურად, მაგრამ სხვადასხვა ეროვნულ-კულტურულ სივრცეში. საზღვაო მიზნებით გამოყენებული ენობრივი ინსტრუმენტარიუმი კი ოპტიმალურ (რომ არ ვთქვათ, მაქსიმალურ) თანხვედრაში უნდა მოვიდეს ერთ საერთო, ინტერკულტურულ კოდთან, ამავდროულად ეროვნული საწყისების შენარჩუნების პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

2. Adelman... 1993: Adelman, Mara B and Levine Deena R. "Beyond Language: Cross-Cultural Communication", Prentice Hall Regents, New Jersey.
3. კუნინი 1972 – Кунин А. В. (1972). Фразеология Современного Английского языка.

4. ლევიკვი, ლიტერერი 1985 – Lewicki R. J., Litterer J. (1985). Negotiation. Homewood : Richard D.
5. <http://www.bizjournals.com/sanjose/news/cupertino-s-ghost-mall-vallco-may-be-besthope-for.html>
6. <http://www.deadlinedetroit.com/article/NEWS/140319872/online-news-outlet-deadlinedetroit-to-lay-off-all-staff-reorganize/> მოძიებული 2012/05/16.
7. <http://www.telegraph.co.uk/finance/commodities/Commodities-Gold-prices-headinghigher-as-Modi-eyes-change-to-Indias-import-rules.html/>
8. http://doc.atsu.edu.ge/geo/sadoqtoro%20disertacia/disertacia_dzagnidze.pdf
9. <http://www.thedearsurprise.com/the-nautical-origins-of-everyday-sayings/>
10. <http://www.phrases.org.uk/meanings/nautical-phrases.html>
11. <http://cheloveknauka.com/morskaya-frazeologiya-russkogo-i-angliyskogo-yazykov>
12. SOLAS
[http://www.imo.org/en/About/Conventions/ListOfConventions/Pages/International-Convention-for-the-Safety-of-Life-at-Sea-\(SOLAS\),-1974.aspx](http://www.imo.org/en/About/Conventions/ListOfConventions/Pages/International-Convention-for-the-Safety-of-Life-at-Sea-(SOLAS),-1974.aspx)
13. <http://www.imo.org/en/OurWork/Safety/Regulations/Pages/PassengerShips.aspx>
14. <http://passengershipsafety.com/conference-agenda.php>
15. <http://passengershipsafety.com/>
16. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000065/Disertacia.pdf>
17. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_3508_1.pdf
18. <http://www.see-the-sea.org/nautical/naut-body.htm>
19. Adelman, Mara B and Levine Deena R. “Beyond Language: Cross-Cultural Communication”, Prentice Hall Regents, New Jersey.

20. Гойхман О.Я. Надейни Г.М. “Речевая коммуникация”, Москва
21. Cardeno A. Ralph et al, “Ensuring safety of navigation at sea through maritime communications: a linguistic discourse analysis”, IMEC 24 proceedings, 2012
22. Макаров М.Л. Интерпретативный анализ дискурса в малой группе. Тверь, 1998
23. Carey 1989: Carey J.W. Communication as Culture. Boston.
24. Gudykunst, W. B. (1998). *Interpersonal commtexts, Vol. 3.Bridging differences: Effective intergroup communication (3rd ed.)*. Sage Publications, Inc.
25. Larry A. Samovar, Richard E. Porter. Wadsworth Pub., 1991
26. Ионин Л. Г. Культура и социальная структура // Социологические исследования. 1996. № 3. С. 31-42
27. Стернин И.А. Коммуникативное поведение в структуре национальной культуры//Этнокультурная специфика языкового сознания. – М., 1996.
28. Гумбольдт В. Избранные труды по языкознанию : сборник работ - Новгород: Прогресс, 1984
29. Клод Леви-Строс, Издателска къща "Христо Ботев", 1995.
30. Маслова В. А. Лингвокультурология. — М. : Академия, 2001
31. თეორიული ენათმეცნიერების კურსი / თამაზ გამყრელიძე, ზაზა კვიციანი
32. Б.Л. Уорф, ОТНОШЕНИЕ НОРМ ПОВЕДЕНИЯ И МЫШЛЕНИЯ К ЯЗЫКУ
33. Э. Сепир, СТАТУС ЛИНГВИСТИКИ КАК НАУКИ, (Сепир Э. Избранные труды по языкознанию и культурологии. - М., 1993. - С. 259-265)
34. [mair162_001.pdf \(atsb.gov.au\)](#)

35. [RDAF Squadron 722, Rescue of passengers & crew from the Ferry “Skagerak” | World Aviation Photography \(wordpress.com\)](#)
36. [ge file 3501 1.pdf \(bsu.edu.ge\)](#) - თამარ დიასამიძე, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია ეტიკეტურ ფორმებში
37. [ge file 3501 1.pdf \(bsu.edu.ge\)](#) - სვეტლანა როდინაძე, ინგლისურენოვანი მარინისტული ტექსტები და მათი ინგლისურენოვანი მარინისტული ტექსტები და მათი თარგმანის როლი ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის ფორმირების პროცესში
38. Стренин И.А. Коммуникативное поведение в структуре национальной культуры//Этнокультурная специфика языкового сознания. – М., 1996.
39. С. Г. Тер-Минасова язык и межкультурная коммуникация, Слово / Slovo, Москва, 2000
40. КЛОД ЛЕВИ-СТРОСС СТРУКТУРНАЯ АНТРОПОЛОГИЯ, МОСКВА, ЭКСМО-ПРЕСС, 2001
41. Маслова В. Лингвокультурология, 2001